

T

„მედიკალინი“
(1915)



ავთოცენტ სავლიცენტრალთ აქტრალი

წლიურად 5 მ., ნახ.წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ.-ხელის-მოწერა მიიღება „სოციალუმი“ის სტამბაში. მისამართი: თიფლისი რედ. „თეატრი და სოციალუმი“ 1. იმედაშვილი

შასი 10 კ.

შაბათი, 17 დეკემბრისთვი. № 42—1915

17 დეკემბრისთვი



სერგი ნიკოლოზის ძე ვორონოვი

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი, სახელსა სხელში რუს. დრამ. წრის მკურ რეჟისორად მოწვეული, მხატვრულად მოწყობილ წარმოდგენებსა სდგას.

ქალი— სასცენო ხელოვნებას ერთ სცენის თვალთ შუქმფენ ლამაზთაგანია ქალი...

ჩვენი თეატრის აღორძინებაც მაშინ დაიწყო, როდესაც სამშობლო სცენას მოველინენ მუყაითი და თავდადებული ქალები—პირველხანად ოლა და მარ. ყიფიანები, ეფრ. კლდიაშვილისა, ბაზო ავალიშვილი, ელ. ბროძელი-ანტონოვსკისა და, შემდგ. მალაონიკიერნი ნატო გაბუნია და მაკო საფაროვაბაშიძისა, რომელთაც საზოგადოებრივი ცრუმორწმუნოება გადალახეს და მელის თავისის არსებით შეუდგნენ სამშობლო სცენის საძირკვლის განმტკიცებას...

და დიდი საეროვნო საქმეც გააკეთეს.. მათ შემდეგ გამოგვიჩნდა რამდენიმე ნიკიერი ქალი; მაგრამ იგინი, თეატრის დაწვის

გამო, მიმოიფანტენ, ან კანტი-კუნტად მო
ნაწილეობენ შემთხვევითი წარმოდგენებში...

არიან ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ
ჯამაგირით ჰქონდავენ თავის "მოღვაწეობას"
და ნამდვილ შემოქმედებითი მუშაობაზე—ქარ-
თუფი—სამშობაღა სტენის უხეგარა სამსახურ-
სე—ნაკლებ ფიქრობენ...

და დღეს ჩვენი სცენა—სახალხო თუ
პროვინციის თეატრები—ქალის მხრით დიდს
ნაკლულეფანებაშია...

ქართველი ქალი ჩვენს წარსულში მუ-
დამ საპატიოდ ასრულებდა თავის მოვალეო-
ბას ქვეყნის წინაშე—სახელმწიფო, სარწმუ-
ნოებრივ, სამწერლო და საოჯახო ასპარეზზე...

დღეს ჩვენი ერის ერთი დიდი განმან-თ-
ლებელი ტაძართაგანია თეატრი...

და ნუ თუ ქრთველი ქალი დაიშურებს
მუშაობას ისეთ სასახლო და ერისათვის სა-
სარგებლო ასპარეზზე, როგორც თეატრია,
მით უმეტეს სახალხო—სასოფლო თეატრი?!

ქართული თეატრი დაბა-სოფლებში ფეხს
იკიდებს და რაედენათაც უფრო მეტს დახმა-
რებას აღმოუჩენს ქალი თვისის მონაწილეო-
ბით, იმდენად უფრო განზე გაშლის ფრთას
ჩვენი სცენა!..

უქალოდ-კი ჩვენი სცენა ბრუციანი იქ-
ნება, თვალ-მოკუტული...

მაშ, ქართველო ქალო, მხოლოდ ნიკით
მოსილო, ნუ იშურებ შრომასა და მშობელ
სცენას მიაშურე!..

**სიტყვიდან
საქმეზე**

უთავობა და უთაურობა
რომ ყოველგვარ საქმის დამ-
ლუპველია, ეს ყველაზე მეტად
ჩვენმა ქვეყანამ უნდა იცოდეს...

შრომა ჩვენი—ბრძანება სხვისი, მამული
ჩვენი—ბატონი სხვა, სკოლა ჩვენი—სწავლა
უცხოური, ქალაქი ჩვენი—სხვისი სახრავი,
სოფელი ჩვენი—სხვისი საწველი და სხვ.,
ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ
მხარეს აიღებთ, საკუთარ თავსა და თაოსნო-
ბას არ იცოს მოკლებული!..

და ვიდრე ჩვენი ქვეყნის საზოგადო, სა-
ქალაქო თუ სასოფლო მმართველობაა სა-
დავეს თვითონ არ ჩავიდებთ ხელში, ვიდრე
ჩვენი ქვეყნის მოყვარული, საქმის მკოდნე

და ხალხის წინსვლის სურვილით გატაცებუ-
ლი კაცი არ ჩაუდგება სათავეში ჩვენს საქ-
მეებს, მანამდე ჩვენი წინსვლაც შეუძლებე-
ლია, ვერ დავწინაურდებით...ერთი სიტყვით
—ჩვენის ქვეყნის საქე ჩვენვე უნდა გვექი-
როს ხელში...

ბევრჯელ, და ძლიერ მწარედაც, ვიწვნიეთ
უცხოთა ხელის შეყურება და ჩვენდა შეუგ-
ნებელი მმართველობა...

დღესაც-კი ჩვენი დაბა-სოფლები სიბნე-
ლითაა მოცული, სკოლები ყოვლად უკულ-
მართი, გზა-ხიდები გავერანებული, კულტუ-
რული ცხოვრება მოღუნებული...

სადღა სოფელი და მისი შეგნებული
ხმა?—სოფელს განაგებს მხოლოდ გზირ-მამა-
სახლისი, ბოქაულ-სტრანეიკის ყურმოკრილი
ყმა, რომელსაც თავის უფიცობით იმ უფლვ-
ბითაც-კი ვერ უსარგებლნია, არსებული კა-
ნონი რომ ანიჭებს...

ამ მოკლე ხანში ახალი წესის შემოღე-
ბას აპირებენ სოფლებში და თუ ამ თავითვე
არ შევეცადენით, სოფელს მკოდნე, დაკვირ-
ვებული და ქვეყნის სიყვარულით გატაცებუ-
ლი კაცი ჩაუდგეს, ვერც ახალი წესი შეს-
ვლის სოფლის ცხოვრებას...

დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ და
დღემდე თუ მხოლოდ ქალაქებზე ვსწერდით
ჩვენს კარგს სურვილებს, ან ზეპირ-ვისიტყვა-
ობდით, ახლა საქმით განვახორციელოთ
იგი...

სოფელმა უნდა აუხვიოს ძველ გზას და
სათავეში ჩაიყენოს სოფლისა და სამშობლო
ქვეყნის სიყვარულით აღზნებული და სახელ-
მწიფო ყოფა-ცხოვრებისაც მცნობი კაცი,
რომ მინდობილ მოვალეობას შეგნებით ასრუ-
ლებდეს... გააკეთოს ის, რაც ხალხს მოუხ-
დება.

ასევე ჰმართებს ქალაქსაც...

ამ მოკლე ხანში მოხდება გორის მოუ-
რავის არჩევნები. გორელებს ჰმართებთ დიდი
შორს გამჭვრეტელობა, რომ თავისს ქალაქს
ისეთი თავი მოადგან, რომელიც უმოძრაო
ქალაქს წინსვლისაკენ ამოძრავებს ჩვენის ქვე-
ყნის საკეთილდღეოდ...

დროა, დრო სიტყვიდან საქმეზე გადავი-
დეთ...



პლატონ ირაკლის ძე ლევაია,

ჭათურის ეოფილი ხენის შაყვანე, გერ-
მანიის მხარეს ამჟამად გმირულ მტკიცებულებათაჲთა
წმ. გიორგის თხზუე ხარისხის ჯარებით, აფიც-
რის წოდებით დაჯილდოებული. წარდგენილია
წმ. სტანისლავს, წმ. ანას ორდენებითა, ოქ-
რას იარაღსა და ფრანგთა სამხედრო მედალზე.
დაჭრილია და თბილისში იმყოფება სამკურნალოდ.

განცხადება

დავკარგე ძმობილი, დავკარგე ნუგეში,
და ახლა დავკარგულს დავეძებ მას;
გულ-წყვეტილ დავსურავ ცრემლების გუბეში,
გულ-წყვეტილ დავეძებ საყვარელ ძმას...

ძებნისგან დაღლილი, თვალ-აგრემლებული,
დავბრუნდი მტირალი შინ;—
სადა ხარ, ძვირფასო, კარგო და კე ილო,
სადა ხარ,— ვინ შეტყვის, ვინ?..

გაიღვიდე! შვილს გტაცებენ!

(თანამედროვე სურათები)

— ვაა! ერთი პური რომელია! დედიჯან
ორი პური უნდა მოგეტანა, შენ არ იცი? ვხ-
ლა ვაენობა... ყველაფერი დაძვირდა... ვაენ-
შა გსაგზავნი ქაღალდო მოგკე და ერთ პურ-
ში? აბა სად გაგონილა?..

ქვევითან მომავალმა უნებურად მოგვარ
ყური გეურქას ლაპარაკს. პივიხუფე.

მედუქნის წინ ხანში შესული დედაკაცი
იღვა. საბრალო, თვალცრემლიანი ეხვეწებო-
და გეურქას.

— შენი ქირიმე, შვილო, ნუ დაშლუპავ!
რამდენი ხანია ი დედაგამქრალისაგან წიგნი
არ მომსვლია. პინდა მე მაინც მ ვწერო, ეგებ
შავიტყო რა ამბავია იმი თავს, აბა ახლა სა-
ნამ მე ავღონღილ-ჩამოვღონღილდები—კი-
დეც დაღამდება, თორემ ახლავე მოგართმე-
დი ი ერთ პურსაც.

გულსაკლავმა სიტყვებმა შემაჩერეს.

— კარგი, დედიჯან, წ იღე, მაგრამ შენ-
ხედ ერთი პური იქნება აი!

ამ სიტყვებით გადმოაწოდა გეურქამ იქ
მღგომ დედაკაცს ფოსტის ქაღალდი და კონ-
ვერტი, თანაც რაღაც მხეცურ სიამოვნებ ი
აღმციმებდა ქონში მიფლულ თვლებს.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს შვილო,
მოგართმევ, გენაცვალე, მოგართმევ.

ამ სიტყვებით ჩამოვიდა საბრალო დედა-
კაცი დუქნის პატარა კიბიდან და მძიმე-მძიმედ
ზევითკენ გასწია. მეც ავიდევნე. საწყალს შა-
ვი ძველი ტანისამოსი ეცვა და შიშველი ფე-
ხები დაგოეჯილ ფლოსტებში წაეყო. გზაში
ვედარ შეეძელ და გამოველაპარაკე.

— დიდდო, განა სახლში აღარავინა
გყავთ, რომ ქაღალდის სასყიდლოდ იქვენ წა-
მობძანებულხართ?

თვალცრემლიანმა შემომხედა.

— ვა! შენ კი გა ხარე, შვილო! ვინდა
მყავს გენაცვალე, ე ბიქი მიხა და სულ სა-
მუშაოზე დადის. ი დედაგამქრალი თედო კი-
დენ, აი, წელიწადია, რაც...

აქ საბრალომ ვედარ შესწლო აზრის და-
მთავრება და მწარე კვითინი ამოუშოა:

— დიდელა! განა რა გაქვთ სატირელი? შევეკითხე ისე, თითქოს არც კი მცოდნოდეს მიზეზი იმის მწუხარებისა.

— სატირელი რაღა არა მაქვს, შველო! მომიგო გულამომჯდარმა, ჩემითანა ტანჯული აღამიანი მთელ ღუნიაზედ არ მოიპოვება... ობოლ ოხერი ერთ საწყალ კაცს მიმათხოვეს... ორი ვაჟი მეყოლა იმი ხელში, საწყლად ცხობრობდით, მარამ ქმრისა და შვილების შემყურე ბედნიერად ვთვლიდი ჩემ თავს...

ი დალოცვილმა ღმერთმა ჩემთვის ისიც არ გაიმეტა... ოთხი წლი შემდეგ ქმარიც მომიკვდა... თუ რაზე მეზადა, იმი დამარხვას მოუნდა, დავრჩით მეცა და ჩემი შვილებიც ღვთი ამარა... გველი ქერქში ვაძვერ და, როგორც იყო, შვილები წამოვხარდე, ჩემი ჯანითა და წემსი ძაფით იმდენი ვეცადე, რომ ორთავეს სოფლი შეკლაშიაც კი ვაპწავლე... წამოიხარდნენ... ი დღედაამქრალი ჩემი თედუა მეტყოდა ხოლმე: „კარგი, დედი, ნულარავის გამსახურები... აი შე დავდგები სადმე მოჯამაგირეთ და კარგა ვაცხოვრეთ“...

რო ვთქვი, ახლა კი ღმერთმა ჩემკენაც მაიხნდა, აღარა გ მიქირდება-რა მეთქი, ი დალოცვილმა წორედ მაშინ არ მომტაცა ერთი შვილი!.. დამრჩა ერთი შვილი.. ენაცვალოს დედა ჩემ მიხას... ისღაა ჩემი ერთად ერთი ნუგეში, მერე რა მხნე ვაჟკაცი დამიდგა! ყოველ დღე სამუშაოზე დადის...

ამ ლაპარაკით ჩვენ სახლსაც მიუახლოვდით. გამოვემშვიდობე, მაგრამ იმისი სევდით მოკული სხე სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს ხსოვნაში.

სამიოდ კვირის შემდეგ სამწერლოსკენ ჩავიარე. საქმე დღე იყო, მაგრამ კარგა ხალხს მოვეყარა თავი. აღარ ისმოდა ჩვეულებრივი ყაყანი. ამით მიხედვბოდით, რომ არა სსხიამოვნო რამ გამოცხადებიათ. შორიდანვე შეატყობდით ყველას სახეზე ნაღვლიანობას... ერთი, მთლად გათეთრებული, წელში მოპრილი გლეხი წინგარდის მოაჯარს დაბჯენოდა და სევდიანი ხმით ლაპარაკობდა. მის გულის სიღრმიდან ამონახეტქ სიტყვებში ყველას გულის წუხილი იყო ჩაქსოვილი.

— ჩვენ ვილა შეგვინახავს? ან ჩვენ ხარ-

ჯებს ვინ გაუძღვება?

სამწერლოს კარებზე რაღაც წითელი ქალღი გამოეკრათ ..

მიუახლოვდი. წავეკითხე... და მივხვდი იქ მყოფთა მწუხარების მიზეზს. ყმაწვილებს კითხულობდნენ ჯარის კაცებად...

— ამ თვის X-ში ქალაქი უნდა გამოცხადნენ არა? შემეკითხა მოხუცი და თან დაუმატა: ი დალოცვილები ქართულათ მაინც დაწერავდნენ ერთად „ობიავლენიას“ რომ ჩვენც წაგვეკითხა... რუსულათ რომ წერავდნენ, აქ ვინ წარიკითხავს... მარამ... მწერლითვინ კი გამოსადგვია... მალე მოგვ ტყუებს.

— დიახ. უპასუხე ნაღვლიანად.

— არ იხსნის არც ოჯახური და არც ქონებრივი მდგომარეობაო, მართალია?

— ეგრეა... მივუგე და ამავე დროს მომაგონდა საწყალი თვალკრემლიანი ობოლანთ ნინო, თედუას და მიხოს დედა, ამ საიი კვირის წინად რომ შემხვდა მედუქნესთან, — და შეველ სამწერლოში.

— ობოლანთ მიხაც მოკითხულია? შევეკითხე მე...

— მოკითხულია .. მიპასუხა მწერალმა დ მშვიდებით და თან ამოიკითხა: Михаилъ, вдовы Нины Оболашвили...

— ოხ! საბრალო ნინო! გტყებენ უნეს ერთად ერთ ნუგეშსაც... წამოვისროლე გამწარებულმა ..

— მერე ამ ერთი კვირის წინ იმის თედოს სიკვდილის მოწერილობა მოვიდა... მებრალეობდა საწყალი და გუშინწინდა გამოუცხადე... სთქვა მწერალმა ისეთის ხმით, გვეონებოდათ ეს კაცი ანგელოზი უნდა იყოსო...

ფერისცვალობა იყო. მღვდელმა წირვის შემდეგ, მშობლებ-ნათესავების თანადასწრებით, ჯარში ახლად გაწვეული ბიჭები დალოცა. ახალგაზდები ოცამდის იქნებოდნენ. ზოგს მართლა არა უჭირდა-რა, მაგრამ ზოგზე კი სულ ვერ წარმოიდგენდით, თუ ისინი მართლა ჯარის-კაცებად იყვნენ გაწვეულნი.

— მაინც მივდივართ და მაინც... აბა ახლა შენ იცი, შაქრო, როგორ ჩაპკრავ ჩონგურს.

— მართლა ბიჭო! ვითამაშოთ.

— დაუკარ, შაქრო! იქნებ უკანასკნელი იყოს ეს ჩვენი თამაშობა ჩვენ მიწა-წყალში. ისმოდა აქეთ-იქ დან ახალგაზდათა ხმები.

— ითამაშეთ, გენაცვალეთ, ითამაშეთ.

— თქვენ სამიწე დედებსაც ეყოფათ დარდი და ვარამი.

ამბობდნენ თვალცრემლიანი დედები. მალე ჩვენ საყდრის გალავანში კარგი თამაშობა გაჩაღდა. დარდიანი ჩვენი ახალგაზდები ცდილობდნენ თავი მოემხიარულებინათ, მღეროდნენ კიდევ, მაგრამ დაღონება თუ ყველას არა, მეტ წილს ზაინც ეტყობოდა.

— მოდი მიხავ! შენ რაღას დაღონებულხარ, ითამაშე. გასძახა შაქრომ ერთ ახალგაზდას გლეხს, რომელიც კარგა მოშორებით თუთის ქვეშ იდგა, გულხელ დაკრეფილი.

— არა, შვილებო, მაგას ნუ ჩააცივდებით, ეგ არ ითამაშებს ჯერ ორი კვირაც არ არი, რაც თედუას ომში მოკვლა გაიგეს. იმი სიკვდილის გაგებაზე დედაც აფად გაუხდა... მწუხარე ჰყავ... უთხრა ჯეილებს ერთმა მოხუცმა დედაკაცმა.

— ახლა, რავქნათ ბები! ყველანიც დავიხრცებით, მაშ ალარც უნდა ვიღონოთ და ალარც ვითამაშოთ? უპასუხა შაქრომ.

ამ დროს გალავანში შემოვარდნილმა, არყით გამობრუებულმა გზირმა დაიღრიალა:

— აბა, ბიჭებო, წავიდეთ!

ჩვენმა ჯეილებმა შესწყვიტეს თამაშობა. დედებმა და ნათესავებმა ცრემლების ფრქვევით გადაჰკოცნეს წამსვლელები.

— მშვიდობით, შვილო!

— მშვიდობით დედი!

— მშვიდობით პაპავ.

— შვილო გენაცვალე, წიგნი მაიწერე ხოლმე.

— მშვიდობით შვილო! მამაზეციერს ვეხვეწები შენს მშვიდობით დაბრუნებას.

ისმოდა თვალცრემლიანთა ნაღვლიანსიტყვები... ძნელია საერთოდ გამოთხოვების უკანასკნელი წუთები... ძნელია, როდესაც ეთხოვები შენს სამშობლოს, ეთხოვები სულისა და გულის სწორებს და არ იცი კიდევ ეღირსები მათ ნახვას თუ არა... გამოთხოვების ამ უკანასკნელ წუთებს განიცდიდნენ ჩვენი ახალგაზდები და მიტომ თვალს ცრემლი მორგოდათ.

ოტა ხნის შემდეგ შაქრო ჩონგურის კვრიტ გამოვიდა საყდრის გალავნიდან, მას სხვები გამოჰყვნენ. აქამდის მწარე ფიქრებში წასული მიხაც გამოეჩევა. მოიმშრალა თვალელებზე მომდგარი ცრემლები და მიმავალ ჯგუფს შეუერთდა.

— ნუ დარღობ მიხა! გამაგრდი. კაცს ქირში უნდა გაშაგრება. ნუ გეშინიან კარგა გახდენ და დედაშენი. შენ წაყვანასაც ჯერ არ გავაგებინებთ... შენ კარგად იყავ...

ჩვენი ჯეილები გზას გაუდგნენ, მათ ხუთიოდე კაციც აედევნა. ისინი მამები იყვნენ... შორიახლო თოფაკიდებული გზირიც მიბარბაცებდა.

ის იყო შინისკენ წამოსვლა დავაპირე, რომ უცებ ზევიდამ საზარელი წივილ-კივილი შემომესმა. გავიხედე. თმებ გაწეწილი, პერანგის ამარა ვაფთრებული დედაკაცი მორბოდა და გულსაკლავად გაჰკიოდა:

— მათე! მათე! გაიღვიძე, არ გაატანო!

საზარელ წივილ-კივილზე მალე მთელი უბანი იქ დეედა. ცდილობდნენ დეექირათ საბრალო დედაკაცი, მაგრამ ამაოდ. იმის დაქერა ისე ძნელი იყო, როგორც მთიდან მომსქდარ უზარმაზარ ზევისა. ვინც კი მიჰკარებოდა, ყველასათვის ტანთსაცმელი ჩამოეფხრიწნა.

— გვიშველეთ ხალხნო! გვიშველეთ!

— უი, ქა, რატო არ დავბრმავდები!

— საწყალი ობოლანთ ნინო!

— გაგიტებულა!..

— მიზეზისაგან იქნება!..

— საწირავები შამაველეთ, ხალხნო! საწირავები!

— მეცათ ქა, ნუ იჭერთ. . ხო ხედავთ პირდაპირ საყდრისკენ მიდის.

— ვენაცვალე მაგი მადლს... მაგისაგან იქნება დაჭერილი.

— საწყალი, მერე რა ადამიანი იყო!..

ისმონდა ბავშვებისა და დედაკაცების წივილ-კივილში სხვა და სხვების გულსაკლავი სიტყვები... გაფთრებული ნინო შევარდა გაღვინში და ერთ საფლავის ქვას დაემხო.

— ადგე, მათე! გაიღვიძე, შვილს გტაცებენ! ჩაპკიოდა გულშემხარავად. იპის კვილზე ყველას ცრემლები მორეოდა თვალზე. ბავშვებსაც კი რალაც ჩაფიქრება ეტყობოდათ. ზოგზოგნი შიშით დედებს ეკვროდნენ.

— საწყალი! ქმრის საფლავი თუ ჰგონია!

— ამ უბედურს ერთი შვილის სიკვდილი არ ეყოფოდა? მიხას წაყვანა რალათ გააგებინეთ?..

— წელან იმ ადრე და მალე კარგ უნახავ გზირმა უთხრა. მიხა წამოვიდა თუ არა ვალანში, ომში უნდა წაიყვანონო, — უამბობდა ერთი დედაცაცი თავმოყრილთ.

... — მიხა ომში უნდა წაიყვანონო? შეხიხია საზარლად ნინომ და ფეხზე წამოიჭრა: იმი მამას ვეტყვი... არ გავატანო! სთქვა ესა და თავპირის ლადრით და წივილ-კივილით სახლიდან გამოიქცა.

უბედური ნინო ისევ გულაკლავად ქვითინებდა. დედაკაცები ბევრს ცდილობდნენ, როგორმე დეემშვიდებინათ, მაგრამ ამაოდ.

კარგა ხნის ქვითინის შემდგომ ნინო უცებ წამოჯდა საფლავის ქვაზე და სივრცეს მიაპყრო თვალები. ლოყებ დაღადრულს კარგა ხანი ჰქონდა ასე სადღაც მიპყრობილი ცეცხლივით მოელვარე თვალები. შემდეგ უცებ ზეზე წამოდგა და საზარლად გადიხარხარა:

— ხ! ხა! ხა! ხა! გაიგეთ! მათემ მითხრა „მძინავ“-ო. სთქვა ეს და ისევ ქვაზე წამოჯდა. დამშვიდდა.

— აბა, ადგე ნინო! კარგია, წავიდეთ სახლში!

— ადგე, აი მეც შენთან წამოვალ! ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან დედაკაცები.

თითქოს შეისმინაო დედაკაცების ხეყვნა, ადგა და თავჩალუნულმა თავის ქოხისკენ გასწია. ხალხი აედევნა.

— აკი მიზეზისაგან არ იყო!

— აკი საწირავები არას უშველიდნენ!

ისმონდა მოხუც დედაკაცების ხმები.

ჯერ გაღვანსაც არ ვიყავით გამოცლებულნი, რომ ნინომ უცებ სახე მოიმხიარულა და დედაკაცებს დაუწყო ლაპარაკი.

— აი, მე ხომ მოვდივარ... წამ-ღით ჩემთან ყველანი... იქნებ არ იცით, თედუა რო მამივიდა? ენაცვალოს დედა! აი ეს ფარჩის კაბა თითონ ჩამაცო და თქვენ დასაბატოებლად გამამზავნა... მწერელმა დამიხსნაო, იიც დამიბატოეო... ერთი დიდი ლხინი უნდა გაემართო... .

— ჰო! ნინო! ჰო! ეუბნებოდნენ დედაკაცები.

— საწყალი!

— ჰეი! რა ყოფილა დედი ჯიგარი!

— რას ამბოფ, კაცო, შვილებზედ ამოსდიოდა მაგ უბედურს მზე!

— ჰეი! ზოგზოგ დედებს არა ჰგვანებია!.. ისმონდა თავთავიანთ სახლებსისკენ მიმავალ მოხუც გლეხების ლაპარაკი.

— საწყალი ნინო! ეკითხოთ იმის ამ ყოფაში ჩამგდებთ!

ობოლანთ ნინო იმ ღამესვე გარდაიცვალა ტვინის ანთებით...

ს. კაეშნიშვილი



ჯ. კაცი გიორგი გაჩეჩილაძე (მოკლუდაა)

მ ტ ი უ ლ ე ბ ი

I. კნუტ ჰამსუნი.

ჩემ საწოლ ოთახში, შოთასა და ილიას სუ-
რათის ქვემოთ მალაღი, ბრკე მხარბუქიანი, სა-
თვალეობიან კაცის სურათი ჰკიდია; იგი სარტარის
დაკვირვებით დაიჭირება წინ; განტვიფრება ის-
ტვის მის სახეზე, თითქოს შიმშილისა და ტან-
ჯვისაგან თავგაბუღებულ კაცის ნაცვლად—ბუ-
ნების წიაღში ზღაპრული, ციდან ჩამოვარდნილი
ბაღლი იყოს.

ჭეშმარიტად უციდან ჩამოვარდნილი“ მწე-
რალია იგი ჩემთვის.

მა არც ვიცი მისი ნამდვილი გვარი.

მე მხოლოდ ჭაბუკობისას მიგეცია მისი
სურნელფანი რომანები: თუ შეცნებე ერთს სან-
დრო ეპიბუგის საყვარელ მთებში მომწერებია
წასვლა, იქ რომანტიული ელგუჟასი და მათიას
სამშობლოს ნახვა, ვინაიდან მჯეროდა, რომ ისი-
ნი მართლაც ცხვარობდენ, იბრძოდენ თავგან-
წირვით, რადგან მათთვის ბრძოლა ხელფანება
იყო.

მჯეროდა, რადგან ჭეშმარიტ, ხელფანის არ
შეგიძლიან არ დაუჭერ.

ჭო და არა ნაკლებ მინდოდა ნორვეგიის ციფ
ფორების ნახვა, იმ ადგილების, სადაც იღუ-
მალბობთ ზირ-მოკუშული მორტიქული ნაღელი
იმხვერძლა ტალღამ.

სადაც ლუტენანტ გლანი დიფირამბებს უმ-
ღეროდა შემოქმედს და ტუის ჰანის მომჯადო-
ვებულ საღამურზე ნაღვლიანად იდიმებოდა.

იღუმალბობის მორტიქული უწოდებ ნაღელს,
და ჭამსურც აკი იმავე საცარც ვინითაა შეპერო-
ბილი.

მე არ ვიცი იგი ვინ არის, მისი ბიოგრა-
ფია კიდევ რა იყოს დაწერილი, არ წავიკითხავ,
არ წავიკითხავ, რადგან არ მინდა მის სახეს იღუ-
მალბობის ზირ-ბადე ჩამოხსნას ჩემს თვალში.

მე არ ვიცი, იგი სად დაიბადა, სახელდობრ
რომელ სოფელში, რომელ ქალაქში, ან როდის
როგორც გზივყავა ხოლმე საყვარელ მწერლების
შესახებ დამახსოვრება; როდის რას ფიქრობდა,
სად თენებობდა, რადგან, ვიშორებ, ხელთ არ
მქონია არც მისი ბიოგრაფია, არც შემოხარები, არც
წერილები შეტობრისადმი.

მაგრამ გლანს ვიცი, ვინც, ვინც ნაღელს,
იჭანეს, იენსონს და მე, რასაკვირველია, მრწამს
ერთხანარი ინდენტოვობა მწერალსა და გმირს
შორის მწამს, რომ შექსნაირის „ძვალაი ძვალა-
საგან და ხორცი ხორცისაგან“ არა მარტო ჭამ-
ლეტი, არამედ შევლახსაც—დაინ შევლახსაც, ეს
აღამიანის ხორცილ მოვარე შევლახსა.—

ვან დიკის სახეს თუ ვეძებთ, მას წმინდა
სებასტიანეს—იჭვინულ ხატებაში ამოვიკითხავთ.
თვით ილიას ფიზიონომიას რაცა ვსწავლობთ, ჩვენ
ამისთვის მარტო გლანის ნაამბობის ცნობილი
მღვდლის სახე არ გვეოფა, თვით ლუარსაბსაც
ილიას ხორცი აქვს შესხმული,—ეს ჰარადოქსა-
ღურად მოეჩვენოს ეგებ ვინმეს, მაგრამ ეს ასეა.

მაშ რაღათ მინდა მე ჭამსურის ბიოგრაფია,
მე შედამ თან ვატარებ ნაღელის ფიქრებს.

მე ვიცი მის ტკივილებს, მეც მათთან მი-
ტანჯნია, ცრემლი მიღვრია, უფურებს მისი თვა-
ლები თითქოს რაღაცას აკვირდებან, ეძებენ. ლუ-
ტენანტ გლანიც განა იმავე დაუცხრომელი ძებ-
ნის ვინით არ არის შეპერობილი—იტიტ რენესანცი
ევროპის გაქცევა და ინდოეთის ტყვეობაში ეძებს
მოსვენებას.

მამისათ დახდ დაკარგულ გმირსაგით, მასაც
სულის მშვიდობა აქვს დაკარგული.

ლუტენანტ გლანი განა შეთაური საღენი
არ არის...

იგი ბუნების წიაღში თვრება ჰანის მომხიბუ-
ჯელ სტვირით — ვეგვილებისა და ბალახების
სუნიო...

იგი თრება—მისი ჰანტიესში—ერთხანარ
ეპილოტიურ ორგეიამდისაც მიდის.

უნებურად გლანის გახსენებაზე რუბენის
„მთვრალი სილენი“ მიდგება თვალ წინ...

რამდენი მოჭარბებული თრობა ხარევი ტუბო-
ბა იხატება მის სახეზე, მის გარშემო მომდობა-
რი სახეები ტუის სატირებისა, ეს ნამდვილი
ხორც-შესხმული მოხვამა ბუნების წიაღში. ეს ის ხე-
ლოვნებაა, რომელიც ისე გათრობს და ისე გაბრუებს
როგორც თვით სილენს ვახის წვენი და გლანს
ტუის ბალახების სუნი—გლანისთვის დრო არ არ-
სებობს დრო, რომელიც ევროპაში დაქროთაა შე-
ფასებელი შვიცბურტკერებისაგანა. *) მას ზუ-
რტი შეუქცევია, დაუიწინია ერთხანარი უაგულდო-

*) მღაბიო მოქალაქეთაგან.

ური წერილმადი—მას რომელიმე ეგროზიულ სენ-საცაზუ უფრო ის აინტერესებს, თუ რათ უკ-ფლა წინა დამით მისი ძაღლი ტრეზიარი.

თუ გლანი ღრმად განიგდის ტუის მუედ-რობას, ზღვის შრადს,—იგი არა ნაკლებ ღრმად სწვდება ტანჯვის უფსერულს,—რადგან ტანჯვით სულის არჩევა, და შექმნება,—ეს ნიშანდობლივი თვისებაა თვით ჭამსუ-ნისა, როგორც ჭეშმარიტი ხელაგანის. რადგან თუ ქმნილებას ტანჯვით არ გამოჰყვებს შემოქ-

მედი, იგი ისეთივე უსუსური იქნება, როგორც ის ბავშვი, რომლისთვისაც დედის რძის ნაცვლად საჭმელი უძლევათ.

ტანჯვაა სხვა შემოქმედების.

და იგია ჭეშმარიტი ხელაგანი, რომელიც აღამიანის სულის ეფეულ ტკივილს ჩასწვდება—სულის, რომელიც ისე იკვანება ტანჯვის კა-ცანსე, როგორც „შამა“ ღააკონში.

კ. გამსახურდია

(დასასრული იქნება)



ჩ ე მ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო *

(კ. ბალმონტს)



აქ კოლხეთი ივერიას გადასწვნია დაღალ-კავად,
აქ როინი მტკვრის ზვირთს იწვევს საცელქოდ და საცეკვაოდ,
აქ საღამო ღვთის სუნთქვას ჰგავს—მთვარეს შუქი ამსკვირვალებს,—
აქ ერთი ზღვა—მეორესთან გრიგ ლს კოცნას დაავალებს!..
აქ რიერაჟზე ცის პორფრი აიკინძავს ვარსკვლავთ ღილებს
ოქროს კდემით აელვებულს და აღერსად ატეხილებს;
აქ ყვავილნი სათუთ ბაგეს მზის ამბორით ამშრალებენ,
აქ ქალწულნი თვალთა მზერით თვით ამურებს ამთვრალებენ!
აქ ზეფირი ტრფობის ზღაპარს ორთქლის ფრთებით დააქროლებს,
ხან თვლს თვალსა შემსკვალავს, ხან გულს გულთან გააბრძოლებს!..
აქ ჩანჩქერი ფოლადის კლდეს ბროლის გველად ეგრიხება,
აქ ნიავი ვერხვის ფოთლებს სიზმრის განცდას ეკითხება!
აქ მაღალ მთის თეთრ კვარცხლბეკზე—სილამაზის წარმომშობელს,
სერაპიმნი ხმა შეწყობით უღერიან საგალობელს!—
აქ დაინთო ღმერთის ცეცხლი—ამირანის მონატანი,
შოთას სიმიც აქ შეირხა, აქ დაირწო მის აკვანი
და ეს ჩემი სამშობლოა... დობილია მზის ექსტაზის!—
— და შენ, უცხო მზის სტუმარო, შენ, ქურუმო სილამაზის!—
თუ მის სულის საიდუმლოს მისებურად ამოიცნობ,
თუ მის ღიმი—ღმილს მოგგვრის და მის წყლულით ტკივილს იგრძნობ,
თუ ის შენში წრფელ გრძნობიან თვის მომღერალს დაიგულეპ,
სალამს გიძღვნის მოწიწებით და მადლობის თაიგულეპს!..

კ. გამსახურდია

Handwritten notes in Georgian script:
დასასრული
ჩემი სამშობლო
სილამაზის

* ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა ქართ.-კულტ. მოყვ. საზოგადოების მიერ კ. ბალმონტის პატივსაცემლად გამართულ საღამოზე, 9 ღვინ., რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია.



ბ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

თხზულება

კონსტანტინე დიმიტრის ძე უიფიანისა.

მ ო მ მ ე დ ნ ი :

1. **დარეჯან**, საქართველოს დედოფალი, ქვრივი მეფე ერეკლე მეორისა.
2. **გიორგი მე-XII-ე**, საქართველოს მეფე.
3. **მარიამი**, საქართველოს დედოფალი, გიორგი მეფის მეუღლე.
4. **დავით ბატონიშვილი**, გიორგი მეფის სამეფო ტახტის მემკვიდრე.
5. **ბატონიშვილი ჯიბრაილ**, გიორგი მეფის ძე, მცირე-წლოვანი.
6. **ბატონიშვილი თამარ**, გიორგი მეფის ასული, მცირე-წლოვანი.
7. **კოვალენსკი**, რუსთა ხელმწიფის სწუმუნებული, ვეზირი.
8. **ლაზარევი**, რუსთა ჯარის ლენერალ-მაიორი.
9. **სუროკოვი**, რუსთა ჯარის კაპიტანი.
10. **თავადი ოთარ ამილახორი**, გიორგი მეფის ქეშიკი, დახლოებული პირი.
11. **თავადი ბაგრატ ციციშვილი**, მარიამ დედოფლის ბიძაშვილი, გიორგი მეფის ქეშიკი.
12. **ჭაფი-იბრაჰიმ-ხანი**, სპარსეთის შაჰი ბაბა ხანის ულხი.
13. **რუსეთის ჩინოვნიკი**, კოვალენსკის ხელქვეითი.
14. **ქართველი ბერი**, მოხუცი.
15. **მხეხათუნ**, მარიამ დედოფლის გამდელო, ბებერი.
16. **გლეხი**, მარიამ დედოფლის ახალგაზდა მსახური.
17. **ორი მოქალაქე**.
18. **ორივე დედოფლის ქალთა** ამაღა: ექვსი ქალი.
19. **ჭაფი-იბრაჰიმ-ხანის ამაღა**: — ოთხი სპარსი.

20. **მეფე გიორგის თორმეტნი ქეშიკნი**, აზნაურნი.

21. **ქართველნი თავადნი**, ოცი კაცი. ამათში წარჩინებულნი: ერეკლე, ზაზა, გეგეანი, არჩილ, იოსებ, ტატო, ნანიკა, ბეგლარ, გიგა და ნიკოლოზ. ამათში: ერეკლე, ზაზა, გეგეანი და არჩილ — მოხუცნი; სხვანი ახალგაზრდანი.

22. **რუსთა ჯარის ორმოცი კაცი**.

23. **ქართველთა ხალხი**: გლეხნი, დეაკანნი, ორმოც-და-ათნი.

მოქმედებს სწარმოებს ქალაქს თბაღისში 1801 და 1802 წლებში. **შენიშვნა**: მოქმედ პირთა დახასიათება და ჩანდულობა იხ. ბოლოზე.

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

(**იცენა**: სამეფო სახალხის სანადიმო დარბაზი.)

ოთარ ამილახორი და ბაგრატ ციციშვილი (აღმარებით გამდიან შუა — თადიან კარდიან)

ბაგრატ (ოთახის მოწყობილობას ათვალეობებს) ოპო!.. რა კარბა მოუწყვია ვილაცას ეს ოთახი სტუმართა მისაღებად!.. ეჭვ!.. ორადს უყურე, რამდენი იარალი ჩამოუციდნია!?!.. მეცოტავება კი როგორღაც... ამას სტუმარნი რომ შეზბედვენ, იფიქრებენ, რომ ჩვენც ცოტანი ვყოფილვართ!.. მაგრამ ეხლა რა დროს სტუმრობაა, როცა ყველგან არეულება და უწყესობა ჰსუფევს.

ოთარ. შენ სულ არეულებაზე და უწყესობაზე ლაპარაკობ. მერწმუნე, მაგითი თავი მომაბზორე! განა ვერა ჰხედავ, რომ ყოველივეს უკეთესობა ეტყობა? ჩვენი მეფე გიორგი ბრძნულად განაგებს სამეფოს და...

ბაგრატ. ბრძნულად!.. დიახს! რაღა თქვა უნდა, ბრძნული განგებაა, რომ სამეფოს

გადაცემის აპირებს სხვის ხელში... ვრეკლე მეფესაც უნლოდა საცოდავი საქართველოს გადაცემა რუსთა მეფის ხელში, მაგრამ არ დასცალდა, ვერ მოესწრო იმ დროს... ვგონებ, რომ ვერც ვიორგი მფეფე მოესწრობა. აი გაგახსენდება ჩემი სიტყვა, ბატონო ოთარ, რომ მეფე ვიორგიც ვერ იცოცხლებს მანამდისინ და დაუშლიან კიდევ წადილის აღსრულებას.

ოთარ. დაუშლიან? მერე ვინ დაუშლის (დაცხინვით) შენ ხომ არ აპირებ? გიორგის დედინაცვალი ხომ არ არა, დარეჯან დედოფალი?

ბაგრატ. დიახ, ვგონებ, რომ დიდს წინააღმდეგობას გაუწევს!

ოთარ. მაშ არა და, როდესაც ოსმალები-სულთნისაკენ იწევი!

ბაგრატ. ეგ ტყუილია, ძმაო ტყუილი!

ოთარ. ტყუილი კი არა, ზართალია! დარეჯან დედოფლის შეთქმულება ხომ გამოაშკარავდა. ახლა ხომ შერისხულია დედოფალი; იმის მიუხედავად, რომ ჯერ-ჯერობით აქვე, ამ სასახლეში სცხოვრობს დასცხოვრობს გიორგი მეფის დარაჯთა მხვერაობის ქვეშ...

ბაგრატ. (სიტყვას გაწყვეტინებს) რა ფუკოთ მერე, რომ დარაჯი უმზერს!.. შერი-სხულიაო, შენა ბრძანებ?.. დარეჯან დედოფალი სრულ თავისუფალია თავის მოქმედებაში, მაგრამ ამას კი ფიტყვი, რომ გიორგი მეფე მეტად უსამართლოდ ეკიდება დედოფალს.

ოთარ როგორ?.. თავისუფალია თავის მოქმედებაში? მაშ, რასაც კი მოიხურვებს, ყველაფერს ჩაიდენს არა? არა, ძმაო, ახლა თავისუფლად მოქმედება დედოფალს არ შეუძლიან! რამდენი ვაი-ვაგლახი დაგვატეხა თავს და რამდენი უსიამოვნება მოგვაყენა, შენ განა არ იცა? დედოფალი და გიორგი გამწარებულნი ებრძვიან ურთი-ერთსა!.. შენის აზრით მეფე უსამართლოდ ეკიდება? რას ამბობ? მე რომ იმის ალაგას ვაყო, დედოფალს სრულიად დავითხოვდი აქედან, ანუ ციხეში შევაყენებდი და იქ ყოფნის ნებას-კი არ მივსცემდი, მეფესთან ერთ კერ ქვეშ! აი დაიცადე მცირედ ხანს და ჰნახავ რაც მოხდება.

ბაგრატ. რა უნდა მოხდეს?.. რა.. ჩვენი სწავლი მეფე მოიშორებს დედოფალს თავიდან,

რომელიმე სოფელს გაგზავნის საცხოვრებლად, წავა და მერე ოსმალთ სულთანს ესტუმრება და ისიც ხელს მოუწყობს.

ოთარ. რაო?.. სულთანი ხელს მოუწყობს? აბა ვნახოთ ერთი, როგორც მოუწყობს ხელს?.. შენ, ჩემო ძმაო, ვხედავ, დარეჯან დედოფლის მომხრე ყოფილხარ. ფრთხილად, იყავ, ფრთხილად, გიორგი მეფე გულფიცხი კაცია.

ბაგრატ იმის გულფიცხოვასთან მე რა ხელი მაქვს! მე მაჯალს მოგახსენებ! რაო, თავს მომკვთავს თუ რა არის?

ოთარ. მოგკვთავს კიდევ, თუ მაგის ღირსი გახდები! ფრთხილად იყავ, მეოქი, გირჩევ.. აი საცა გამობრძანდება აქ მეფე, რუსთა ვეზირ კავალენსკისთან და თავისი შემკვიდრე ბატონიშვილი დავითიც ეახლება, თუ შეგიტყეს, რომ დარეჯან დედოფლის მომხრე ყოფილხარ, მაშინ უყურე, თუ რა დაგემართება.

ბაგრატ. რა არის, კაცო, რომ იმუქრები ერთი სწორედ სიტყვი და!..

ოთარ. სწორედ გინდა? მაშ, ყური მიგდე! რუსთა იმპერატორი, პავლე პირველი, თანახმა არის შეუერთოს რუსეთს საქართველო და უკუნიითი-უკუნიისამდე მფარველობა გაუწიოს ჩვენს მეფე გიორგის და მის ჩამომავალთ. ამიტომაც იმპერატორმა გამოგვიგზავნა თავისი რწმუნებული ვეზირი კავალენსკი, რათა რიგზე მოაწყოს აქაური მმართველობა, მოსპოს სხვა და სხვა უწესობა, დააკმაყოფილოს ჩვენი ბატონიშვილები, რომელნიც მეტად უფოთვენ. გიორგის შემკვიდრეთ იმპერატორმა დაამტკიცა ძე მისი, ბატონიშვილი დავითი და მის და პატივსაცემლად უბოძა ღწენროლობა და სხვა და სხვა ორდენებით დააჯილდოვა. აბა, ერთი, შეგხედე დავითს, რა რიგად უხდება ღწენროლის ჩაცმულობა! ხვალ თბილისს მოველით რუსის ახალს პოლკსა, სპარსეთის შაჰის ბაბახანისაგან საქართველოს დახსნისათვის განა ამ ამბისა შენ არა იცოდი რა?

ზარა. მე მეგონა, რომ შენ მართლა რასმეს ახალს ამბავს შეტყუდი, —ეგ რაცა ბრძანგ, ყველაფერი კარგა ხანი რაც ვიცი შენ

რაც გინდა სთქვი, მე კი მაინც ვიტყვი, რომ გიორგი მეფე უსამართლოდ ეკიდება თავის დედონაცვალს და ღმერთიც მაგას არ აპატივებს.

ოთარ. სუს! ჩუმადი! ვილაც მოდის...

ბაგრატ. (აქეთ-აქით იხედება) არავინ არის... რა სუს და ჩუმადი! რასა ბრძანებ! სანამ მე ცოცხალი ვარ, მაინც ვიტყვი, რომ გიორგი მეფე უსამართლოდ ეკიდება დარეჯან დედოფალს. იმის დაუკითხავად, გიორგიმ რუსის მხრე დაიჭირა და ორივე დედოფალი კი ამის წინააღმდეგნი არიან. დარეჯან დედოფალს ზავის შეკვრა უნდოდა ოსმალთ სულთანთან, რომელსაც სპარსთა შაჰი სძულს და მზად არის მტვრად აქციოს. რუსთა ხელმწიფემ რა ჰქმნა? ერთი პოლკი გამოგვიგზავნა და ხვალ კიდევ მეორე პოლკი შემოვა ჩვენსა.— ორი პოლკი ბაბა-ხანის 50 ათასი მეთომართა წინააღმდეგ!... კატა—ლომთან!

ოთარ. იცი რას გეტყვი? აგრე ძლიერ რომ არ მიყვარდე, გიჩვენებდი როგორც უნდა ენის ლაქლაქი! რა ჩვენი საწმეა ამიზე სჯა და ბაასი, გვიჯობს დავემორჩილოთ ჩვენი მეფის სურვილს, რომელსაც ჩვენთვის კეთილი უნდა და სხვა არა-რა. მაგრამ, ქუჯას ძალას ნუ ატან, გაჩუმდი, თორემ, ხომ იცი, ახლა ჯაშუში და დამსმენი აქ ბევრია, ყურს მოჰკვრენ ჩვენ სიტყვებს და დავგაბეზდებენ... უყურე, აქეუკენ მოდიან...

II

ივინივე და დარეჯან დედოფალი, თავისის ქალთა ამალით თადიან კარებიდან შემოდის. დარეჯანი მადის წყნარის, მედიდურის ნაბაჟით. მივა სამეფო ტახტთან და რომ პირველს საფეხურზე შესდგება, შეჩერდება ოთარის ხმის გაგონებაზე. სადაც დარეჯანი იქნება, ამაღაც თან მიჰყვება. ოთარი და ბაგრატი მიიმეიდ მიესალმებიან.

ოთარ. დედოფალო, ბრწყინვალევი! გავკანდიერდები და მოგახსენებ მეფე გიორგის ბრძანებას, რომ შენ უნდა დაბრძანდე აი იმ სავარძელზე. (უჩვენებს მარცხნივ მდგარს სავარძელს, სამეფო ტახტის პირდაპირ)

დარეჯანი (ამათ სალაშქო ოდნავ დაიქნევს თავს. შეჰხედავს ოთარს მედიდურად და მკაცრად.

მტრედ ხანს სიჩუქა.) ოჰ, რა ცვალებადია დრო და ჭამი და ბედი აღამიანისა!.. მე... დედოფალს, მიჩვენებენ იქ დაბრძანებას, სადაც ჩემი ადგილი არ არის!.. მაგრამ... მალალო ღმერთო, შენ მოჰხედე ჩემს მწუხარებას... უნდა ავიტანო ყოველი უსამართლობა! (წამოვა საფეხუმიდან) ოთარ ამილახროო! სად მიბრძანებ დაბრძანებას?

ოთარ. ბრძანებას როგორ გავიბედავ, დედოფალო, მე მხოლოდ ვკანდიერდები, მოგახსენო მეფის ბრძანება, რომელმაც თვითონ დაგინიშნა შენი ადგილი...

დარეჯან. მეფის ბრძანებ!! დამინიშნა ჩემი ადგილი!! ოჰ, ოჰ! (წამოაღება აქ, სადაც ოთარი უჩვენებს) .. დიახ, ცვალებადია აღამიანთა ბედი!.. მე რომ გიორგის დედა ვყოფილიყავი, ამისთანა დამცირობას ვერ გამობედავდა და ჩემი ადგილის შითითებასაც!.. მაგრამ, რა გავწყობა, იყვეს ნება ღვთისა! (სიჩუქი) ბაგრატ ციციშვილო! ოსმალთ სულთანზედ ახალი რამ ხომ არა იცი რა? (ამოიღებს ჯიბიდან ქარვის კრიალსა და სუღში ათამაშებს)

ბაგრატ. ახალი არა ვიცი რა, დედოფალო! სულთანის დახმარებაზე ახლა, სჯობიან, აღარა ვფიქროთ რა, იმიტომ რომ შენი ელჩნი, მეფის ბრძანებით, პატიმარს არიან, ყველაფერი დაწვრილებით მოხსენდა მეფეს და ახლა.

დარეჯან. ჩემი ელჩნი სად არიან?

ბაგრატ. მეტეხის ციხეში, დედოფალო!

დარეჯან. ახლავე გაანთავისუფლონი!

ბაგრატ. ჩვენ არ ძალ-გვიძს იმათი განთავისუფლება, დედოფალო!

ოთარ. ოთარ ამილახროო!.. ჩემი სურვილია—ელჩთა ჩემთა თავისუფლობა

ოთარ დედოფალო! იმათი თავისუფლობა მეფეზედ არის დამოკიდებული, მაგრამ არ იზამს მაგას, რადგან იმის უღალატურობა და მალულად იყვნენ გაგზავნილნი სულთანთან და ახლა, რუსთა იმპერატორების მფარველობას ტვირთულობს; სულთანთან ყოველი კავშირი და დამოკიდებულება მოსპო და სპარსეთის შაჰი ბაბა-ხანთან ერთად, რუსთა ჯარების დახმარებით, შებრძოლებას აპირებს ოსმალთსთან.

ღარჯან. ეგ ამბავი მეწყინა!.. შებრძოლებას აპირობს. შენ ამბობ?.. ჰო, რამდენი სისხლი დაინთხევა კიდევ! უბედურო ჩემო ქვეყანავ! როდის მოისვენებ სისხლის ნთხევისაგან და შენთა შვილთა ურთი-ერთის უთანხმოებისაგან? ...ოთარ! მითხარი ერთი, რა ამბებია ახალი ჩვენს უბედურს საქართველოში?

კ. უიფიანი

(გავრძელება იქნება)

ვინ არის?



სიკო ილიას ძე ფაშალიშვილი

კ. ბაღმონტის პატრიარქისგან განმართულ სილამაზე საზოგადოების დადი უურადლება მიიწერა ახალგაზრდა მკაცრმა ს. ფაშალიშვილმა თავისი ლექსების წარმოთქმით. ბევრი კითხულობდნენ, ვინ არის ეს ნიჭიერი ახალგაზრდა? უსარგებლობთ შემთხვევით და აქვე მოგვყავს მოკლე ცნობანი მის შესახებ, მით უმეტეს, რომ ამ ახალგაზრდას მდალი მიზანი დაუსახავს.

სიკო ფაშალიშვილი სოფელი გლეხის შვილია, დაბ. ს. ქვემო-მანხანში (ქაზიყს), უფროსი და უშინარსი სიბავშვე სოფელსა და მინდორში გაატარა ძროხების მოვლა-მეხრებაში. ათი-თერთმეტის წლისა შემთხვევით მოხვდა სოფლის სკოლაში და ანბანი შეისწავლა; რადგან იმ კვირის განმავლობაში მიიწერა მასწავლებლის უურადლება თავის მახვილ-გონიერებით, მაგრამ სოფლის სკოლის გათავებამ არ დააწყეს და უკუდმართმა მდგომარეობამ მასწავლებელ იგი სანატრელ სიგანს: პირველდაწყებით

სკოლას ჩამოშორებული მასწავლებლობასა და ნაქრობაში წამოიხანდა, მაგრამ თავისუფალ წუთებს წიგნების კითხვას ანდამებდა და ხარბად ეწაფებოდა ლიტერატურას, თუმცა წიგნების კითხვასაც-კი უშლიდნენ. თვით განვითარების წყურვილით შეპყრობილი, დიდის მეტადნეობით, ჩამოვიდა თბილისს, აქ მტრე სიმუშაო იშოვნა და მწერლობას შეუდგა. პირველი ლექსი გაზეთში დაუბეჭდეს 1910 წ. და მას შემდეგ გამუდმებით ათავსებს ლექსებს ეგვალ ქართულ სერიალურ გამოცემაში. სკოლის ელფერით მოსილი მისი უფველი ლექსი ფაქიზ აზროვნაია, ღამაში, ოსტატურად გამოკვეთილი და დრამად განცდილი.

ს. ფაშალიშვილი კვლავ განაგრძობს მეტადინებას და უმადლეს სასწავლებლისაკენ უჭირავს თავლი, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ეგვალ ქართველ მწერლს, მასაც ხელმოკლეობა სიმიძედა აწევს კისერზე და უფველ მხრივ უშლის ხელს; ჩვენს საზოგადოებაში-კი, რასაკვირველია, აზრად არ მოსდის უურადლება მიმეტოს ამ უმაწვილს, შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს სასარგებლო მისწრაფებაში. თუ ფაშალიშვილს ჩვეულებრივმა ქართველურმა უურადლებებმა და გაუტანლობამ არ მოუკლა სურვილი და გზა არ დაუსმა, თუ საზოგადოებამ მას დახმარების ხელი გაუწოდა და საშუალება მისცა სურვილის შესრულებისა, ფაშალიშვილისგან ჩვენ ბერს მოველოთ.

უმჯობესია ადრევე ვიზრუნოთ ნიჭიერ და მრავალ იმედის მომცემ ახალგაზრდას განსავითარებლად, რომ მომავალში უკეთესი ნაყოფი გამოავლენინოთ.

ი—ელი

მაძულანთვის..

თუმცა წუთები ამა სიცოცხლის მახვილი არის ჩემი გულისა, მაგრამ ჯერ მაინც არ ვარ საგანი მე უმნიშვნელო სიბრალოლისა. მართალი არის, სატრფო-სიცოცხლემ მომიკლა რწმენა და სიყვარული, მაგრამ ნუ გჯერათ, რომ გულში მოკლა სიცოცხლის ჰანგი, ჰანგი ფარული...

არ ვამითენდეს მშვენიების დილა,
 მარად სატრფოსთვის ვიყო მწუხარე,
 აღარც მიმიღოს სამშობლო მიწამ,
 მდიოდეს საწყალს ცრემლი მღუღარე,—

თუ მამულისთვის არ მოვეკვდე ტკბილად,
 თუ არ ჩავიდე ღიმილით საფლავს,
 მხოლოდ ცაზე-კი ხედავდნენ მარად
 ტანჯული ერის ბედისა ვარსკვლავს...

ი. დაროშვილი.

ღ ი ქ ც ი ა

გ ა მ ო თ ქ მ ა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ცხ.“ № 41)

განდა იმისა, რომ ტკბილათ და მკაფიოთ
 არის საჭირო გამოთქმა, სწორედაც უნდა ვი-
 ლაპარაკოთ. მაგალითათ, ძალიან ხშირათ ამბო-
 ბენ მაიტა, მიმეცი და სხვა, მოიტა და მომე-
 ცი-ს მაგიერათ. სიტყვა არის მომეცი, მოიტა
 და სხვა. ესე ონ-ს მაგიერათ ან-ს კახელები
 და ნაქეტანად ხევესებები ხმარობენ, ასე რომ
 თუ მისხიობი ამ ერთ-ერთ ტიპსა თამაშობს, მა-
 შინ საქიროა ონ-ს მაგიერათ ან-ი გამოთქვას.

თუ, როგორ უნდა გამოთქმა თვითეულ ასოს,
 ამას საბა-სულხან ორბელიანი გვასწავლის: *)
 „ქართული ორბელიანი ასოები განიყოფიან
 შეიდად: კმოვანად ნანარად, ბაკეთად, ენის მწვერ-
 ვლად, საშუალო ენისა და კორეთა შინა, ხო-
 ლო მესამედი—ნახევარ ბაკეთა მიერ მოხრით—
 ნესტებურ; ამისთვის, რამეთუ არიან ასოები, რა-
 მელნი ბაკეთა მიერ ითქვას და რომელიმე ენი-
 სს მწვერვალად, რომელიმე საშუალო ენათა და
 რომელიმე—კორეთა სიტყვის მიმოთქმის და კა-
 ფიოთა გამოჩენისთვის, რამეთუ არიან სიტყვა-
 ნი მადლნი და არიან ზომიერნი და არიან მდა-
 ბაღნი ამისთვის არს შეიდად განიყოფა ასოთა
 მათ. რამეთუ კიბანი ასოები არიან ხუთნი, ესე-
 ნი: **ა ე ი ო უ.**

ესენი არიან, რომელთაგან გამოვლენ ხმა-
 ნი სამუსიკოანი, სამკრანნი და საკალბელ-
 ნი, თვინიერ ამასა არა არს კმა გინა მუსი-
 კობა, გინა სიტყვაჲ ამა ან-ს ცნ-ს და ონ-სა
 ბაგე აშვეებით უნდა თქმა **).

*) იხილე საბა-სულხან ორბელიანის ქართული
 ლექსიკონის წინასიტყვაობა.

**) კურსივი ყველგან ჩვენია.

რედ ენისა ორნავ განძრევა და უნ-სა ბაგე
 ნეშტებურ მოხრით თქმა.

ხოლო ხუთნი ესე ასოები განიყოფიან ხა-
 მად: მაღალ, ზომიერად და დაბლად. მადღა
 არს: **ა, ე.** ზომიერ არს—**ი** ხოლო მტირედ, უმ-
 დაბლესი ამათ შორის **ს, უ.**

ხოლო ბაგეთა მიერ სათქმელნი ასოები
 არიან ოთხნი, ესენი: **ბ, მ, პ, ფ.**

ესენიც განიყოფიან სამად: მეტი არის
პ, ზომიერი არს **ბ,** ხოლო ნაკლები არს **მ, ფ.**

ხოლო ენის წვერვალთანი ასოები არიან
 მეუერთმეტნი, ესენი: **ღ, ზ, თ, ლ, ნ, რ, ს,**
ტ, ც, ძ, წ.

ესენიც განიყოფიან სამად. მეტი არს
ზ, რ, ტ, ც, ძ, წ. ზომიერად: **ღ, ნ, ს** და ნაკ-
 ლები **თ, ლ.**

ხოლო საშუა ენათასა—არიან ექვსნი, ესე:
გ, ქ, ლ, ჩ, ხ, ჯ.

ესენიც განიყოფიან სამად. მეტი არის
ჯ. ზომიერად: **გ, ჩ, ხ,** და ნაკლები: **ქ, ლ.**

ხოლო კორეთა შინა სათქმელნი ასოები არი-
 ან სამნი, ესენი: **ჟ, კ, ჰ.**

ესენიცა, განიყოფიან სამად. მაგარი არს
კ, საშუალო **ჟ** და დაბალი არს **ჰ;** ხოლო ნახე-
 ვარ ბაკეთა მიერ მოხრით ნესტებურ ძვრით არიან
 ასოები ცხრანი, ესენი: **ვ, ჰ, ჳ, უ, შ, ჭ, ჴ, ჵ,**
ჯ, ფ.

ესენიცა განიყოფიან სამად. მაგარი არს
ვ, უ, შ, ჭ; ჩვილი ვ, ფ, დაბალი **ჰ, ჳ, ჴ.**
 აი დიქციის შესანიშნავი გაკვეთილი.

რაც შეეხება სიტყვების გამოთქმაში ხმის
 ამადლებს, ამასე ბ. ს. რ. გორგაძეს დავუკით-
 ხთ. ეს ადგილი, მახვილი, მოღაინათ ამოწე-
 რეთ მოხსენებულ ავტორის ფრიად საყურადღე-
 ბო შრომიდან სათაურით, „ქართული წყობილ-
 სიტყვაობა“ და აქვე არ შეგვიძლიან მისახიბს
 არ ვურჩიოთ ამ შრომის უურადლებით წაკითხვა.
 ქართ. წყობილსიტყვაობა დაიბეჭდა „გორდემლ-
 ში“ № 1, 1912 წელს. აი რასა ბრძანებს ნა-
 ტივცემული ავტორი:

„უეჭველია, დღესაც ბევრი მოიპოვება ისე-
 თი ქართული, რომელსაც ჰგონია, ვითომც ჩვენს
 ენას მახვილი, ანუ ხმის ამადლება სიტყვის რა-
 მელსამე მარცვალზე, არა ჰქონდეს. მაგრამ, რა-
 გორც ახლავ დავინახეთ, ეს აზრი შესაწინააღ-
 ბედი არ არის. მართალია, ქართული მახვილი

ისეთი მქსხე არ არის, როგორც სოციეტის ევროპიულ ენას სხეულებს, მაგრამ ზომიერად სმის ამდლებს ქართულ სიტყვებშიც სწავნივებს. მაგალითად, რიცა ქვემოთ აღნიშნულ სიტყვებს წაღ-წაღკე წამოვთქვათ, ეთველთვის ვამბობთ: მამული, გადაშენება და არა მამული, გადაშენება, არც მამული, გადაშენება, გინდ გადაშენება, გადაშენება.

საკმათა, ამგვარად შეგვკვლათ აღნიშნული სიტყვები და იმწამსვე დაურწმუნდებით, რომ მახვილი ქართულ ენასაც აქვს და მასთან იგი განსახლდურედ წესს ემარხნალება“.

გიორგი ჯაბაღარი.

(გაგრძელება იქნება)

ქართული სახიობა

სახალხო სახლში წრემ შაბათს, 10/X, წარმოადგინა ტ. რამიშვილის სოციალური პიესა „მეზობლები“, რომელსაც აუ რებელი ხალხი დავსწრო. ამ პიესაში ხალხი ჰხედავს თავის ვაებასა და კიდევ დიდხანს ისახროლებს მისით, იუ შესაფერად იქნება განსახიერებულნი. სასცენო ხელოვნებაში, რომ მეტყველება და მხატვრობა უმთავრესია, ეს არა ნაკლებ უწყის წრის რეჟისორმა კ. შათირიშვილმა და ამიტომ გვიკვირს, რ. ტომ მეტის ყურადღებით არ მოეპყრო მენაბდიშვილის; გელვანიძისა და ტასოს როლების აღმასრულებთ. სხვაფერად პიესა საუცხოოდ იყო დადგმული, განსაკუთრებით პირველი და უკანასკნელი მოქმედებებში. მესამე მოქმედებაში ტყის უკანა დეკორაციაში უზნოდ გამოკითხობდა ლამპრის შუქი. ნ. გოციორძის გრუშნევსკის როლი ისე შეუისხლ-ნორცხია, რომ ვერ ატყობთ, რომელი-რომელს „სთამაშობს“—გრუშნევსკი გოციორძის თუ გოციორძი გრუშნევსკის: აი მხატვრულ-იდუბრი სრულ ქმნა ხატებისა, შეგნებით სულ-ხორცის შესხმა. ვ. ნინიძე ნამდვილი ლუკა სუთიძეა; ეს გლვხთა წრიდან გამოსული—„გახანაურებული“, სულით მახინჯი; უჯობდა, 1 მოქმედება არ გადაეღახნა. უკეთესი იყო ბოლო მოქმედებაში. დამსახურებულმა მსახიობ-ქალმა ელ. ჩერქეზიშვილმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რ ს ნიშნავს გამოცდილი და ნიჭიერი ხელოვანი: თვალწინ დაგვიყენა ნამდვილი მათა. ტ. პიერეტა (ოლინკა) და შ. გომელაური (სოსიკო) შეგნებით ასრულებდნ ნაქის როლებს, მაგრამ შესაფერი ყმაწვილური გულწრფელობა აკლდათ და პირველი უფრო მძიმე იყო. ან. ქიქოძე (კნ. კატო) წარმატების გზაზეა, თვისი როლის ბევრი ადგილი საოცარი სინაღვლით ჩაატარა; ი. მინდიაშვილმა (ირაკლი) შარშანდღოთან შედარებით წინ წაიწია: სულიერი ვითარება და გარეგნობა ერთი მეორეს შეაქსოვა

და სრულის განკლით მიუღდა სინამდვილის საზღვარს. ს. რომანიშვილი-დგებუაძის რადენად გარეგნულად იყო მოხდნილი, იმდენად შინაგანი, სულიერი აღზორგების გამომცემაში მოისუსტებდა: თითქო როლს სახელ დახელოდ სრულებს, არა რწმენითო. დ. ბაქრაძე რობერტის ღირსეული აღმსრულებელი. დამსახურებულმა სცენის მოყვარემ გ. ჯაბაღარმა ვერ შეძლო ილ. მენაბდიშვილის განსხიერება და სულის ჩადგმა: ვერ იქნა და—ჯაბაღარმა და მენაბდიშვილმა ხელიხელს ვერ მისცეს, სული სულს ვერ აზიარეს. მენაბდიშვილი-კი პიესის ღერძია, იგი უნდა აკოხლებდეს მთელ პიესას. პატივემული სცენის მოყვარე-კი თითქო გაღმა მხრიდან იძახის სიტყვებსო, ერთხმით, თითქმის სიმღერით, ერთილოვნება, ერთხარის მიმოხერა-კი ხელოვნებას არ ეგუება. ასეთივე იყო ბ. ასათიანი (ტასო), რომელიც როლს ვერ ენათესავებოდა. სულს ვერ უღგავდა. ს. პეპანავს კარად შეეგნო გელვანიძის როლი. თითქო სულსა და გულშიაც ჩასტერენოდა, შიგა და შიგ მისაწონიც იყო, მაგრამ გარეგნულად ნაკლებ ბიურაგრატიც გამოხატავდა, არც როლი იცოდა: ამ სცენის მოყვარემ (და სხვაშიც) კარგად უნდა იცოდეს, რომ სცენას ათასი ყური უსმენს და უხამსად ნახმარი სიტყვა-კი შხამავს მსმენელს (მაგ. როდესაც რომა“, ჩემი კარგი“ „კარგო“-ს მაგიერ, „ქართველების გასაქართველებლად“ უნდა ითქვა „გასარუსებლად“.—თუ დღევანდელ „ქართველებს“ გულისხმობდა, სხვა.—და სხ.) კ. სვანელს ალბად დაიწყებოდა, რომ მხოლოდ ახალუხის ჩაცმა ვერ გამოაჩატავს ტიპს. მართალია, მკირე როლს ასრულებდა, მაგრამ ყურადღებით უნდა მოეპყრობოდა. კარგს იხებებენ ჩვენი უანგარო სცენის მოყვარენი, რომ მოყარნახეს ნაკლებ შრომას აკისრებდნ, თორემ რას გავს: სხენებულ ღამესაც მ. თუშმალიშვილს „ფურჩული“ კარგა მანძილზე ისმოდა...

სამშაბათს, 13/X ამავე წრემ წარმოადგინა ა. ცაგარელის „რაც გინახავს—ველარ ნახავ“. ამ პიესის დადგმაში ნათლად სჩანდა რეჟისორის მადლიანი ხელი, პიესა კობტად ჩაატარეს.

უსავანო

კ. დ. ბალმონტის პატივსაცემლად ქართ. კულტურის მოყვ. საზ-ის მიერ გამართულმა საღამომ 9/X „არტისტ. საზ. თეატრის“ საკონცერტო დარბაზში ბლომა საზოგადოება მიიზიდა, განსაკუთრებით მოზარდი თაობა. კ. ბალმონტის შემოსვლას საზოგადოება ტაშით შეეგება. ქ. კ. ს. თავმჯდ. გ. კორდანიამ ქართულ-რუსული მკირე სიტყვით ამცნო საზოგადოებას, რომ სახელგანთქმულმა მეოსანმა კ. დ. ბალმონტმა რუსულად გადასთარგმნა ჩვენი განძი „ფვვ. ტვ.“, დღეს დრო არ არის, ამ თარგმანს კრიტიკულად შევენოთ, მხოლოდ ასეთი საპატიო შრომისთვის ქართ. კულტ. საზ-ის საპატიო წევრად ვირჩევთო. ამ განცხადებას დამსწრენი ტაშით შეეგებნ. ბ-მა პეტრაკოვსკიმ წაიკითხა ბალმონტის შემოქმედ-

ბის დახასიათება. ახალგაზდა მგოსანმა ს. აბაშელი კ. ბალმონტს მიესალმა საკუთრი რუსული ლექსით. კ. ბალმონტმა წაიკითხა „ვეფ. ტყ.“ თარგმანის ნაწილი, რამაც წინანდელზე უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე განყოფილებაში ქართველმა მგოსნებმა ს. ფაშალიშვილმა, ი. გრიშაშვილმა და გ. ქუჩიშვილმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები. რომელთაც საზოგადოება უზომოდ აღტაცებით შეეგება, განსაკუთრებით ს. ფაშალიშვილს „ჩემი სამშობლო“-ს წარმოთქმის გამო (ამ ნომერშია დაბეჭდილი). კ. ბალმონტი გაოცებულ-აღტაცებული იყო—იმ ზეიმით, ფაშალიშვილს რომ აღმოუჩინეს. თვით კ. ბალმონტმა წაიკითხა საკუთარი ლექსები, რის გამოც საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. მესამე განყოფილებაში მ. კავსადის გუნდმა, ქულაჯებში გამოწყობილმა, რამდენიმე ქართული ჰანგი იმღერა (მათში—ორი უცხო). სამწუხაროდ, გუნდმა თავის თავს უმტყუნა და ისეთი არ იყო, წინააღმდეგობის გარეშე დასრულდა და ასე აბუნდა არ უნდა მოეკიდოს, მით უმეტეს კულტურულ დღესასწაულზე, უცხოთა წინაშე. „მრავალკამიერ“ ისე იმღერეს, თითქო ნადღესასწაული—ნაბახურევი მოქიფენი შეყრილან და უთავბოლოდ მღერიათ... ვერც ის გაგვიცა—ნეტა ჩვენმა ტანწერწეტა გლეხმა ვის რა დაუშვა, რომ პამპულასავით აძუნძულებენ ხოლმე, — შიგ და შიგ თუ მოიპოვებინ ასეთი საშარყო მოთამაშენი, ტიპიურად ხომ არ ჩაითვლება. ბ. მ. კავსადეს გულწრფელად ურჩევთ, უფრო მეტის პატივთ მოეპყრას როგორც თავის საქმეს, ისევე საზოგადოებას. ვერც მესტიერი იყო შესაფერი. საღამოს დასრულების შემდეგ გ. ჟორდანის თაოსნობით, კ. ბალმონტს საპატიო ნაღობი გაუმართეს „ახ. კლუბში“-ში, სადაც თამადად თვით კ. ბალმონტი აარჩიეს. აქ სიტყვები წარმოთქვეს კ. ბალმონტმა, ა. ი. ყანჭელმა, გრ. დიასამიძემ, პ. კიზირამ, იოს. იმედაშვილმა, გრ. რომაქიძემ და სხვ. კ. ბალმონტმა განაცხადა „ვეფხისტყა.“ თარგმანს მხოლოდ მაშინ ჩავთვლი დასრულებულად, როცა ქართულ ენას კარგად შევისწავლი და თვით წაიკითხავ დედანსა.

მონაწილე.

ბაძმოს დრამბ. წარმ. (მესამე მორტი წარმოდგენა) კვირას, 4/X, სოქეთა კაცთ-მოყვარე დარბაზში—წარმოდგინა ირეთელის „ქრისტინე“. პიესას გადამოღვაწეული ადგილები გაშალაშინებულა. ქ-ნ ქილარჯიშვილმა საუცხოოდ განასახიერა ტანჯულ-გართყული ქრისტინე. ტიპიური იყო ბ. შალიკაშვილი (დათია). ხოლო ქ-ნ წულუკიძის (მარია) მოსუსტებდა. კარგი ახალგაზდა, გრძნეული მორმიყე იყო ბ. ჯიქიაძე (იასონი). კარგები იყვნენ აგრეთვე ბ. ანობაძე (მეტეხა), ქ-ნ წულუკიძისა (ნატალია) და ქ-ნ ახვლედიანი (მარინე). სუსტი აღმოჩნდა ბ. ბოხუა (ლევანი), რომელიც სოფლის გაუწვრთნელ დიაკვანს უფრო მო-

გაგონებდათ, ვიდრე გამოქნილ მოქიფე თავადს, ჩინებული მიკიტანი იყო ბ. აწყურელი. დანარჩენებიც ან-სამბლს ხელს უწყობდნენ. ხალხი მუდამ აუარებელი ეტანება წლევანდელ სეზონს, რაც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს.

რო--ბი.

საბურთალოს აუდიტორიაში. კვირას, 4/X „აუბო“ ძალიან გვიან 9¹/₂ ს. დაიწყო (გათავდა 12¹/₂ ს.), ვინაიდან ტანისამოსისთვის გამგებამ წარმოდგენის დაწყების დროს (საღამოს 8 ს.) გაგზავნა კაცი ქალაქს. წარმოდგენამ ძალიან უფერულად ჩაიარა, მონაწილენი იმდენად სუსტნი იყვნენ, რომ მოკარნახის ხმა უფრო გარკვევით ისმოდა უკანასკნელ რიგშიც კი, ვიდრე თითონ მომქმედ პირთა. მონაწილეთა უმრავლესობა (მეტადრე ბ. ოგანოვი) ხშირად თავის სიტყვებს უმატებდა და იმდენად შეუფერებელს, რომ პიესა სრულიად მახვილდებოდა და ახრს ჰკარგავდა. სხვებთან შედარებით უკეთ შეასრულეს ქ-მა მატარაძისამ (კვკე) და ბ-მა ბეგლარიძემ (ზიზიმიოვი).

კვირას, 11/X წარმოდგინეს „მეზობლები“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. კარგად შეასრულა თავის როლი ბ. გოგოლაშვილმა, არა უშავდათრა: ქ-ნ მატარაძისას, ჩარკვიანისას, მარგველაშვილისას და ბ. თვალტრელიძეს და თვარაძეს, მხოლოდ როლები ცოტა სუსტად იცოდნენ. დანარჩენი მონაწილენი სუსტობდნენ. სასურველია, უკეთესად მომზადებულნი გამოვიდნენ ხოლმე სცენაზე, წარმოდგენა დაიწყო საღამოს 9¹/₂ ს. და ნაშუალამეის 1 ს. და 10 წ. გათავდა რის გამოც დასწრეთ შორის საყვედურები ისმოდა.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს წარმოდგენები წესრიგის მხრივაც ძლიერ მიოკოტლდნენ: დასწრეთა უმრავლესობას (ბავშვები მ—12 წლ.) შეადგენდა (აღმეტეოდა 60¹/₁₀), რომელთა წივილ-კივილისა, ზანძღვა-გინებისა და ცემა-ტყუებისაგან შეუძლებელი ხდებოდა სცენაზე რისაზე დანახვა-გაგონება. დარბაზში თამბაქოს წვევა ერთმანეთის ცემა და უშეგრი სიტყვები, მოქმედ პირთა ხმა-მალა დაცინვა—შენიშვნა. წარმოდგენების გვიან დაწყება, თავ-მომამზერებელი ანტრაქტები და ნაშუალამეის გათავება, აი სურათი, და თეატრის გამგეობა კი ყველა ამ უწყისობას თითქო გულდამშიდებული შესცქერის...

ჩამოთვლილი შეზღვევისა გამო, ცოტად თუ ბევრად შეგნებული საზოგადოება ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა ამ წარმოდგენებით: ასეთ პირობებში წარმოდგენებზე დასწრება, დროს დაკარგვა და ფ.ლის დახარჯვა სრულიად უსარგებლოა და ვერ აღწევს თავის მიზანს.

რათა გამგეობამ მომავალში მაინც თავიდან აიცილოს საზოგადოების სრულიად ს.მართლიანი საყვედურები, საჭიროა ბავშვებისთვის გაიზარტოს ცოკე დილა-საღამოები და სრულიად არ შეუშვან ისეთ პიესების წარმოდგენაზე მაინც, როგორცაა „ქრისტინე“.

და წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგაც საჭიროა მიღებულ იქნას შესაფერისი ზომები. ამ მხრით თვით დამწერეთაც უნდა დაცვან რიგიანობა. მეტად საჭიროა აგრედვე წარმოდგენები, რაც შეიძლება ადრე დაიწყოს, რომ ადრევე გათავდეს და დამწერე მშრომელ ხალხს საშუალება მიეცეს მეორე დღეს თავის დროზე ადგეს დღიურ-ლუკმისათვის საქმეზე წასასვლელად.

ლარაძე

პიათურაში კვირას, 27 ენკენ. ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ ვ. არაბიძის რეჟისორობით წარმოადგინა ი. გველვანიშვილის „გამცემი“. პიესის მთლიანობა ვერ იყო დაცული, თუმცა პირველად ვნახე სცენაზე ისეთი შაქრო ჩვილიშვილი, როგორც განასახიერა ვ. არაბიძემ, სამწუხაროდ მის კარგ შთაბეჭდილებას სხე ნი აქარწყლებდნენ. ბ-ნს არაბიძეს ზოგიერთი ალაგი რომ არ გადაეჭარბებებინა. უკეთესი იქნებოდა. სხვა მოთამაშეთაგან კარგები იყვნენ ქ-ნი კაკაბაძე (დიდიძის დედა) და შ. ვაშაძე (არჩილ დიდიძე). ეს უკანასკნელი ერთი წელია, რაც სცენაზე თამაშობს და ზოგიერთ როლების ასრულებაში უტყუარი ნიჭიც გამოიჩინა. თუ მუყაით მუშაობას განაგრძობს, კარგი სცენის მუშაკი დადგება.

შემდეგ წარმოადგინეს ცოცხლად გუნიას კომედია „დღის ერთა“. კარგი იყო ვ. არაბიძე (იოთამი) ქ-ნი ნუკუბიძისა (თაფლო) რ ვგენთაც „გამცემში“ ნუსტდებოდა, იმდენად კარგი იყო კომედიისში. დანარჩენნიც თავის ადგილზე იყვნენ. სამწუხაროა, რომ ბ-ნს არაბიძეს მოუშაზადებელ—სუსტ წრეში უხდებოდა მუშაობა, რადგან დამსახურებული სცენის მოყვარენი ჳიათურის მაჯის ცემის შეწყვეტისთანავე აქეთ-იქით დაიფანტნენ და ვინც დარჩნენ, ისინიც ძვირად გადმოხედვენ ხოლმე სცენას. სცენის მოყვარე ქალთა ისეთი „კრიზისია“, როგორც შავი-ქვის წარმოებისა...

ჯ — ბა

წვრილი აზვები

◆ **ქართულ მხასიოგობა ახსანაგობა** სდგება თბილისში, მაგრამ წარმოდგენების გასამართავი ადგილი-კი ჯერ ვერ უმოვნიათ.

◆ **ახალი კლუბის** მამასახლისთა საბჭომ 10/X დაადგინა, დრამ საზ. გამგეობას თვითრად აძლიოს 400 მ. სუბსიდი, ხოლო 400 მ. წარმოდგენების სამართავად იმ პირობით, რომ დრ. საზ. დასმა კვირაში თითო წარმოდგენა გამართოს კლუბის სცენაზე.

◆ **ქართ. დრამ. საზ. ის გამგეობა** მეცადინეობს; სათეატრო დარბაზი იზოვნოს სადმე დასის მოსათავსებლად.

◆ **ახალმა კლუბმა** ხასცენო დეკორაციების დახატვა მიანდო ვ. სიღამონ-ერისთავს.

◆ **დ. მ. დუშაბაძე**, „ხაჯ. რეჩ.“-ის ნარედაქტორალი; რომელიც იმ ვე გაზეთში მოთავსებულ წერილების გამო სამართალში მისცეს, 13/X გაამართლა.

◆ **ქ. ზოსცხვარაშვილი** ქუთაისში ამ მოკლე ხანში სასულიერო კონცერტს ჳპართავს.

◆ **ახალი გაჯეთები** გამოდის ქუთაისში 1 ლეიონბისთვიდან ყოველდღიური „მეგობარი“ კიტა აბაშიძისა და გ. მიააშვილის მონაწილეობით, და თბილისში საორშაბათო „ზევითი“.

◆ **პ. ა. გოთუა**, ცნობილი ქურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, 11/X სამეურნეო ბანკის დირექტორად აირჩიეს 124 ხმით 29-ის წინააღმდეგ.

◆ **სახალხო სახლში** 21/X წარმოდგენილი იქნება „მეფე“, 28/X—ახალი პიესა „ცხოვრების ტალღებში“ სანებლიძისა

◆ **ქუთაისის დრამის** საქმე კარგად მიდის.

— **ქართული თეატრის შესახებ** ქართ. კულტ. შოფე საზ-ის თაოსნობით აღ. ახმეტელაშვილმა 15/X საყურადღებო მოხსენება წაიკითხა „დემ. საკრ.“-ში.

— **მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფულის შესაკრებად** ქართ. კულტ. შოფეარეთა საზ-ბ-მ აირჩია საგანგებო კომისია: თავმჯდ. აღ. სიმ. ჯართქიფანიძე, — მისი ამხანაგი—ერ. ესტ. ფურცელაძე; მდივ. ვას. ფარ. ყიფიანი.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ხარვუხის საზ. კლუბი

მიხეილის პრ. № 131

ერთი კვირის პროგ 17 ლეიონბსთვ. 28-დ შაბათს { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
 კვირა { პრესმანის ლოტბარობი
 ორ შაბ. სინემატოგრაფი
 სამ შაბ. სიმებიანი ორკესტრი
 ოთხ შაბ. სინემატოგრაფი
 ხუთ შაბ. სიმებიანი ორკესტრი
 პარასკევს. საზანდარი, სინემატოგრაფი
 შაბათი { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
 კვირა { პრესმანის ლოტბარობით
 შესაბალი ფასი: მამაკაცი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზე.



პროკონს. ა. ს. აბულდიანისა. სამხედრო ქ. და გოლოვინის პრ. კუთხე. **სა-ლი კვთისკი**